# სახალხო გაზეთი

№ 984 ოთხშაბათი, 4 სექტემბერი 1913 წ. № 984

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 3 მან.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

## საბავშვო ბაღი ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ ბავშვების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 1 სექტემბრიდან 10 საათიდან 12 საათამდე საბავშვო ბაღის სადგომში (სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. 1455

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბ რათაშვილის ლექსები | 40 კ. | ორბელიანი გრ. ლექსები, | 20 „ |
| ბარნაბ. დიაკვნიანი | 20 „ | „ ვახტანგი, | 60 „ |
| ბესიკი. ლექსები, სიტყ.-კაზ. გამოც | 1 მ. | „ ნინო, | 30 „ |
| გაბდევილი ლექსები, | 50 „ | რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა ერეკლე მეფისა, | 15 „ |
| გრიშაშვილი ოცნების კოცნა. | 10 | სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1, | 20 „ |
| გურამიშვილი. დავითიანი, | 1 მ. | „ ცხოვრ. სურათები, № 2, | 20 „ |
| დუტუ მეგრელი, | 70 „ | „ აღსარება, № 3. | ჩ „ |
| „ მწარე ფიქრები, | 20 „ | „ ლექსები 1879–1891 | 50 „ |
| ევდოშვილი. | 60 „ | „ სიმები, | 5 „ |
| ერისთავი რაფ., ტ. 1-ლი, | 1 მ. | ქართ. პოეტ რჩეულ. ლექსები, | 25 „ |
| „ ტ. 2-ე, | 40 „ | ჩახრუხაძე. ქნარი, | 20 „ |
| ვეფხის ტყაოსანი, | 60 „ | შანშიაშვილი შვების თავადი, | 60 „ |
| ვაჟა-ფშაველა, | 1 მ. | „ ქება-ქებათა და სულამიტ. | 10 „ |
| „ ახუნდი, | 5 „ | ცის-სარტყელა, სალიტ კრებული, | 15 „ |
| „ ბახტრიონი, | 20 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

## ახალი წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

## უდიდესი წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი

## წრის გამგეობა

მოუწოდებს ყველას, ვისაც სცენაზე თამაშობის უნარი აქვს, განაცხადოს თავისი სურვილი და მიიღონ მონაწილეობა წრის 1913—4 წ. სეზონის წარმოდგენებში. ამისათვის ვთხოვთ მოელაპარაკოთ ნ. ჭანკვეტაძეს წრის ბინაზე მიხეილის ქუჩა № 102. კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 11–1 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 1449

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]—1½.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>ფონდოვი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათეიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწო-ები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძუ-ძუთა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035



პირველ-ხარისხოვანი

## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 4 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება

## დიდი გიმნასტიური წარმოდგენა

მთელი ტრუპის მონაწილეობით. ამასთან შესრულებულ იქმნება 18 ნომერი ცირკის რეპერტუარისაგან. დღეს ახალი დებიუტები. მეამე გასტროლი მეხუთე ამ ხანად ჩამოსული ჰაერის მეფისა, რომელიც იფრენს 4 ეშმაკთან ერთად. დღეს ჰაერის მეფეები შეასრულებენ ძალიან ძნელს ნომრებს. პირველი გამოსვლა ბ. ვოლდისა თავისი „ეშმაკის კიბით“. გამოვლენ მასხარები, სიცილ-ხარხარის გამომწვევნი ძმ. ვიჩენცოები. გამოსვლა პოპულიარულ მუსიკის ექსცენტრიკებისა. ბ. ბროკარსი და ახლად ჩამოსულ ამხანაგ ავგუსტინთან ერთად. გამოსვლა ყოველგვარ ცხოველთა გამწვრთნელის ბ. რობერტსის თავისი ჭკუიანი ვირით და მათემატიკოს ძაღლით. გამოვა ცხენზე მოვარჯიშე უოხზეფი. გამოსვლა იტალიელ აკრობატებისა დელა კაზოის.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.

დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა. 585. გამგე: ლ. მ. ხუნდაძე.

## კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემები

დაიბეჭდა ს. კვარიანის

„საქართველოს ისტორია“

მესამე გამოცემა; ფასი ყდით 2 აბაზი

იბეჭდება ი. ნიკოლაიშვილის

„მოკლე გრამატიკა“

მეორე გამოცემა; ფასი ყდით ერთი აბაზი. 1461

## განქორწინების საქმეებს ვაწარმოებ

ცოდნით, კეთილსინიდისიერად და დაწვრილებით, დარიგებას ვაწვდი, აგრეთვე შემდეგ საქმეების შესახებ: შვილობილობისა და დაკანონებისა, პენსიისა, ერთდროულ დახმარებისა, საპატიო მოქალაქისა და აზნაურობის უპირატესობათა შუამდგომლობას, ვადგენ სხვა და სხვა ხასიათის თხოვნებსა და საქმის ქაღალდებს, ვკასრულობ საბეჭდავ მანქანით გადაწერვას. მიღება ყოველ დღე დილის 10-დან 2 ს.-დე და საღამოს 5-დან 7 ს.-დე.

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. 118, პირველ სართულში. 1438

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

## მვირმვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით კ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

„ტფილის. ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი“ (შედგენილი და დაარსებული 1910 წ).

## მიხეილ კავსაძის

ლოტბარობით,

რომელიც შემდგარია 25—50 კაცისაგან საკუთარ ქულაჯებით და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი, აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ გუნდი 1 ენკენისთვიდან განაგრძობს მოქმედებას, ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ და ევროპიულ სიმღერებს, „სოლო“-ებს, „დუეტ“-ებს, „ტრიო“-ებს, ქართლ-კახურ ეკლესიურ გალობას „ოქროპირის წირვას“; იღებს მონაწილეობას კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე, წარმოდგენებზე, სასიმღერო პიესებში და სხვაგან, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდი ასრულებს აგრეთვე პატარ-პატარა სცენებს სიმღერებით სოფლის ცხოვრებიდან და სხვა. კვირა-უქმე დღეებში გუნდი გალობს ანჩისხატისა და კალოუბნის ეკლესიებში. გუნდის მიწვევა და ახალ მომღერლების მიღება იკითხეთ მიხეილ კავსაძესთან. 1447

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ცდიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 546

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. სემეონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1035

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.


## ქართული პრესა

„განთიადელების“ „ზრდილმა მემკვიდრეებმა“ წერის კილო გვიძრახეს, თვისი ცოდვა-შეცდომები ჩვენ მოგვახვიეს თავზე და არხეინად გაიძახიან:

„სახალხო გაზეთი“ კამათს გაექცა, იდეურ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას ცილისწამებითა და ჭორებით ცდილობს“-ო.

კდემამოსილნო ჯალმოსნებო, როდის იყო, რომ ღირსეულ მოკამათესა და ლიტერატურული ეთიკის დამფასებელ მოწინააღმდეგეს გავექეცით? თუ ჩვენ „განთიადის“ „მეპრესეს“ დუმილით ვუპასუხეთ მის საზიზღარსა და უგვანო გამოლაშქრებაზე, ეს განა კამათის უარყოფას ნიშნავს? არა და ათასჯერ არა! ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ პატიოსან მოკამათეს ღირსეულად შევებრძოლოთ და არც გვეშინია, ვითომ, დამარცხებისა, რადგან სიმართლე ჩვენს მხარესაა, მაგრამ თუ უტიფარ მოკინკლავეს ყრუ-მუნჯად დავხვდეთ, ამისთვის ნურას უკაცრავად!

„განვლილი წლების რეაქცია „სახალხოელთათვის“ ბრწყინვალე დღეები იყო, მათ კარგად ისარგებლეს ხალხის მოძრაობის დამარცხებით“ და შემოიკრიბეს თავის გარშემო ყველა ისინი, ვინც ამ მოძრაობით „შეურაცხყოფილი“ იყო“.

აბა, ერთი გვიბრძანეთ, რა ვუწოდოთ ამ გვარ ნაჯღაბნს, თუ არა საზიზღარი ცილისწამება და შავრაზმული კილო?! მოითმინეთ, ბატონებო. ხვალიდან შევუდგებით იმ პროტესტების ბეჭვდას, რომელნიც თქვენ ყალბად გამოაცხადეთ და მათი დამწერი მუშები კი—„ცილისმწამებელთა ბანაკს“ მიაკუთნეთ.

* *
*

გაზ. „სიმართლის ხმის“ № 9-ში ვკითხულობთ შემდეგს:

„თბილისის ბეჭდვითი სიტყვის საცენზურო კომიტეტმა პასუხის გებაში მისცა გაზეთ „თანამედროვე ქვეყნის“ რედაქტორი კოლია ჯანელიძე, მეოცე ნომერში ბაქოს მუშებისაგან „სახალხო გაზეთისა“ და „თემის“ წინააღმდეგ საპროტესტო წერილის მოთავსებისათვის. იგი მიცემულია პასუხის გებაში 129 მუხ. ძალით“.

რას ნიშნავს ესა? გამოდის, რომ „თანამედროვე ქვეყნის“ რედაქტორი სამართალში მისცეს იმიტომ, რომ მის გაზეთში „სახ. გაზეთის“ წინააღმდეგ პროტესტი დაიბეჭდა. ნუ თუ ჩვენს წინააღმდეგ პროტესტის დაბეჭდვა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენს წინააღმდეგაა მომართული, 129 მუხლის ძალით ისჯება?! გვიკვირს და ვერ მიმხვდარვართ, რად დასჭირდა „სიმართლის ხმის“ რედაქციას ამ გვარი უმგზავსო საშუალების ჩვენს წინააღმდეგ ხმარება. განა ისედაც ნაკლებ პროვოკაციას ეწევიან მისი ჯამბაზი მწერლები, რომ კიდევ ასეთი, მართლაც და შავრაზმული, ქაშანდი არ ეკრათ თავის იდეურ მოწინააღმდეგეთათვის? აგვიხსენით და აუხსენით მკითხველ საზოგადოებასაც, რას ნიშნავს ეს ხრიკი, რომელსაც პროვოკატორული სუნი ასდის!


## ექიმი ნინო რცხილაძე

კბილისა

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

ექიმი

## ი. ზ. გძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102


## ახალი ამბავი

ტფილისი

✦ შეწირულობა. ამ დღეებში ტფილისში გარდაიცვალა სოფიო კულიკოვსკისა (თურქესტანიშვილის ასული), რომელმაც კავკავის ქართულ სკოლას ანდერძით დაუტოვა 1,000 მან. განსვენებულის ცხედარი კვირას, 1 სექტემბერს, მიწას მიაბარეს დიდუბის ეკლესიის გალავანში.

✦ მეფის მოადგილე და ეგზარხოსი. მეფის მადგილე თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში კარგის მხრით ახასიათებდა რუსის „მწვალებლებს“ (სექტანტებს) ამიერ-კავკასიაში და იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ არ უნდა შევავიწროვოთ და არ ვაიძულოთ ამერიკაში გადასახლებაო. ამავე „მწვალებლების“ შესახებ მოხსენება წარუდგენია სინოდში საქართველოს ეგზარხოსს, რომელიც აღნიშნავს მწვალებლების ძალმომრეობას და ურჩევს მთავრობას, სასტიკი ზომები მიიღოს მათს წინააღმდეგ. სინოდი ახლო მომავალში განიხილავს მეფის მოადგილის აზრს.

✦ პანაშვიდი. 1 სექტემბერს, ეგნატე ხრამელაშვილის გარდაცვალების წლის თავზე, დიდუბის ეკლესიაში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მოღვაწის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, განსვენებულის ხსოვნის პატივისმცემელნი და ნათესავ-მეგობარნი.

✦ გერმანელმა სტუმრებმა გუშინ დაათვალიერეს საუფლისწულო უწყების სარდაფი. სტუმრები დღეს საქართველოს სამხედრო გზით კავკავს მიემგზავრებიან, საიდანაც ტფილის დაბრუნდებიან 13 სექტემბერს.

✦ დღეს რკინის გზაზე მაშინისტებს იღებენ და სამსახურში სტოვებენ მხოლოდ განსაზღვრულ წლოვანებამდე. ამბობენ, რომ ახლა ასეთს წესებს შემოიღებენ ობერკონდუქტორებისა, მეისრეებისა და ზოგიერთ სხვა მოსამსახურისათვისაც.

✦ სატახტო გაზეთების სიტყვით, გზათა სამინისტროს განკარგულება მოახდინა, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზებზე ყველა განთავისუფლებული ადგილები სადგურის უფროსისა მიეცეს სამსახურის ვადა გათავებულ სამხედრო პირთ ან სარკინისგზო ბატალიონის ოფიცრებს, თუ უკანასკნელთ ამის შესახებ სათანადო მთავრობის ნებართვა ექნებათ.

✦ შეკითხვა. ხელოსანთა მამასახლისი ბ-ნი ფარსეგოვი ტფ. ქალაქის გამგეობას შეეკითხა, რა უფლებით გახაგებთ სახელოსნო სკოლას, რომელსაც იგი აგებულია ხელოსანთა ხარჯითაო. სკოლის დაარსების ისტორია ასეთია: დაარსების ინიციატივა ეკუთვნის ქალაქის თვითმმართველობას, სკოლისთვის ხელოსანთა გამგეობამ 26,000 მანეთი გაიღო: ამას გარდა ხელოსნებმა შენობაზე უსასყიდლოდ იმუშავეს.

✦ ძველის ეკლესიების ნაშთის გადაღება. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მხატვარს ე. პსკოვიტინოვს დაავალა, გადაიღოს საქართველოს ძველი ეკლესიები და მისი შესანიშნავი ფრესკები. მხატვარს სამუშაოს ერთი ნაწილი უკვე შეუსრულებია.

✦ ქალაქის გამგეობის საფინანსო განყოფილების გამგებლობა (გ. დ. ქურულის წასვლის გამო) დაეკისრა თ-დ ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვს. ხარჯთ-აღრიცხვის საქმე კი ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის ხელში იქნება.

✦ საზარელი დრამა. 2 სექტემბერს, ღამით, პოლიციელი პროხორ დიატლოვი აგაფია ვასილის ასულ ტრუშკინის სახლში შევიდა. ქალის ქმარი კარგა ხანია დაკარგულია. ამიტომ იგი შეკედლებული იყო ეკატერინე ტიმოთეს ასულ მიუჩინთან, რომელიც სცხოვრობდა სურფ-კარაპეტის აღმართზე (სახლი № 16). პოლიციელმა შესვლის უმალ რე-

ვოლვერი დაახალა ტრუშკინს და მძიმედ დასჭრა სახეში; მეორე ტყვიით გულში მძიმედვე დასჭრა ამ სახლში მყოფი ფერშალი პირუტყვთა მფარველ საზოგადოების საავადმყოფოსი პავლე პავლეს ძე ეფიმენკო. ამის შემდეგ დიატლოვი გამოვარდა გარედ და გაიქცა. მას დაედევნენ რევოლვერის ხმაზე მოცვივნული მეეზოვენი და პოლიციელნი. დიატლოვმა უცებ დაყარა ხმალი და ქუდი, ავარდა ციციანთ აღმართზე და მაღალ კლდიდან ძირს გადაეშვა. იგი საშინლად დაშავდა ღ გონება დაკარგული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. იქავ გაგზავნეს დაჭრილი ეფიმენკო და აგაფია ტრუშკინი. ქალი ჩქარა გარდაიცვალა. გამოირკვა, რომ ტრუშკისი ფერშალს ეფიმენკოს დაუახლოვდა ამ ნახევარ თვის წინად და ამ ნიადაგზე დატრიალდა ეს უბედურება.

✦ **ლექცია.** მოკლე ხანში სახალხო სახლში მ. წულუკიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „მგოსანი ს. აბაშელი და მისი „მზის სიცილი".

✦ **ხილეულობის გამოფენაში,** რომელიც ტფილისში დაიწყება 29 სექტემბერს, მონაწილეობას მიიღებს საყიხულეთა მომწყობი მოსკოვის კომიტეტი.

✦ **მკვლელობა.** 2 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, კონსტახტინესი და როზოვი ქუჩის კუთხეში ჩხუბი მოუვიდა ორ დურგალს: გორის მაზრის სოფელ რუისის მცხოვრებს ვასილ პავლეს ძე გასიტაშვილს და ტფილისის მოქალაქეს გარეგინ ნიკოლოზის ძე ვართანოვს. მოჩხუბრებმა ერთმანეთი დანით დასჭრეს. გასიტაშვილი უკვე გარდაიცვალა.

✦ **რუსული გაზეთი „ზაკავკაზიე"** გუშიხ არ გამოსულა.

✦ **საყინულეთა მოწყობის საქმე.** 2 სექტემბერს საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრების შომწვევ კომიტეტის კრება მოხდა. კრებაზე გამოირკვა, რომ 8-დან 10 სექტემბრამდე სხვა და სხვა მატარებელს მოჰყვება საყიხულე ვაგონები. სულ ჩამოვა ტფილისში 8 ვაგონი, რომელიც დატვირთული იქნება სურსათსანოვაგით. ვაგონები პეტერბურგსა და მოსკოვს დატვირთულივე გაიგზავნება 13 სექტემბერს. კომიტეტმა დაადგინა, დაავალოს: 1) ა. ა. ქალანთარს გაემგზავროს ერევანს ვაგონის დასატვირთად ხილის ჩამოსატანად, 2) ინჟენერს ვასილიევს, გაემგზავროს ბაქოსა და ქუთაისს და ყვერულები და თევზი ჩამოიტანოს, 3) ბეითალს ალაჯანოვს, განჯიდან ხილი და ბატკანი ჩამოიტანოს და სხვებს.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო- სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დღეს, საღამოს 8 საათზე მოხდება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში. საბჭო მოისმენს მოხსენებებს საგარეჯოში გამართულ სამეურმეო თათბირისა და წინამძღვრიანთ-კარის სკოლის შესახებ და განიხილავს მორიგ საკითხებს.

## ტფ. ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო

გაფიცვა გრძელდება და როდის დასრულდება—არავინ იცის, რადგანაც ამ ორ დღეში საქმე უფრო გართულდა.

3 სექტემბერს, საღამოს, გაფიცულნი პოლიცმეისტრის წინადადებით ტრამვაის პარკში შეიკრიბნენ და სამი დელეგატი აარჩიეს პოლიცმეისტერთანა და ტრამვაის დირექტორთან პასუხის წასაღებად. დელეგატებმა გადასცეს მუშების პასუხი, რომელნიც შეუძლებლად სცნობენ ბრიუსელიდან მიღებულ პირობებზე დათანხმებას და რომელნიც მუშაობის განახლებაზე თანახმა არიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახლად შეცვლილი მათი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული იქნება. დელეგატები პარკში დაბრუნდნენ, სადაც მუშები იცდიდნენ და რადგანაც ხმა გავრცელდა, გაფიცულთ დაიჭერენო და თანაც პარკს პოლიციელთა და ჯარის კაცთა რაზმი ჰყარაულობდა, ამიტომ მუშები საჩქაროდ დაიშალნენ წესიერების დაურღვევლად.

ბრიუსელიდან გუშინ არარავითარი დეპეშა არ მოსულა იმ ახალ მოთხოვნილებათა პასუხად, რომელიც ტფილისიდან 1 სექტემბერს გაჰგზავნეს ბრიუსელში.

რადგანაც უსახელო საზოგადოების საბჭოს წინადადებას მუშები არ დასთანხმდნენ, გუბერნატორმა პოლიცმეისტერს განკარგულება მისცა, დაუყოვნებლივ სამართალში მისცენ ის გაფიცული მუშები, რომელნიც ამხანაგებს გაფიცვის გაგრძელებას ურჩევდნენ.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, გუშინდლამდე გაფიცულ მუშათაგან 12 კაცამდე დააპატიმრეს.

როგორც ვწერდით, გაფიცვის დროს ეტლების სიმცირემ იჩინა თავი. ამ ჟამად ტფილისში სულ 500 ეტლი მუშაობს. ხშირად ქუჩაზე ცალიერი ეტლი მიდის, მაგრამ მეეტლე მგზავრის წაყვანაზე უარს ამბობს, სახლში მივდივარ ცხენების გამოსაცვლელადაო. ამის გამო პოლიცმეისტერი საყოველთაოდ აცხადებს, მეეტლენი ცხენების გამოსაცვლელად საერთოდ იცლიან 3-დან 5 საათამდე. სხვა დროს მეეტლემა თუ უარი სთქვეს მგზავრის წაყვანაზე, მაშინ ეს პოლიციელს უნდა ეცნობოს კანონისამებრ დამნაშავის დასასჯელად.

## წერილი ქუთაისიდან

„სახალხო გაზეთმა" პირველად აღნიშნა შიმშილის მოლოდინი დასავლეთ საქართველოში და ეხლა ადარავისთვის არის საეჭვო, რომ იმერეთის უმეტეს ნაწილს დიდი განსაცდელი მოელის.

და ამ დროს მთელს გუბერნიაში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, რომ ხალხზე იზრუნოს; აქა-იქ ლაპარაკობდენ, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება ჰფიქრობს—წევრთა საზოგადო კრების მოწვევასაო, მაგრამ განზრახვა არ განხორციელდა; „იმერეთში" მოთავსებული ცნობები მოუსავლობის შესახებ არკვევს მოუსავლობას, მაგრამ არა იმდენად, რომ შესაძლებელი იყოს სრული წარმოდგენა შეადგინოს კაცმა ხალხის თავზე დატეხილ უბედურობაზე. ამავე დროს თუ ნამდვილი ცნობები არ იქნა შედგენილი ზარალის შესახებ, შეუძლებელია წარმოდგენა იმისი, თუ რა დახმარება ესაჭიროება ხალხს.

ამ მხრით, ჩვენის ფიქრით, წვრილი კრედიტის საზოგადოებანი, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია დასავლეთ საქართველოში, და რომელნიც ხალხთან სხვაზე მეტად დაახლოვებულნი არიან, ვალდებულნი არიან ნამდვილი ცნობები შეჰკრიბონ და ვისაც ჯერ არს მიანდონ.

ამას ხელს შეუწყობს ის გარემოებაც, რომ სექტემბრის პირველ რიცხვებში ქუთაისში შეიკრიბებიან წვრილი კრედიტის საზოგადოებათა წარმომადგენელნი, რომელთაც, ჩვენის ფიქრით, მსჯელობა უნდა იქონიონ შიმშილობის შესახებ, შეადგინონ საერთო გეგმა ცნობების შეკრებისა და გამოარკვიონ რა გზით შეუძლიათ მათ ხალხის დახმარების გაწევა.

ეს მათთვის მით უფრო ადვილია, რომ ერთ-ერთ საკრედიტო ამხანაგობას ამ საქმეში საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვს. როცა 5—6 წლის წინად შორაპნის მაზრაში მოუსავლობა იყო და ვაჭრებმა მოინდომეს ამით სარგებლობა, სიმინდს ფასი აუწიეს; ბ-ნი იოსებ გუნცაძის თაოსნობით ზესტაფონში მოეწყო ორგანიზაცია, რომელიც სიმინდს ჩრდილო კავკასიიდან იწერდა და ხელსაყრელ ფასად აწვდიდა ხალხს, რამაც, რა თქმა უნდა, მყისვე ალაგმა ვაჭრების გაღვიძებული მადა. ჩვენ გვახსოვს, რომ იმავე ბ-ნი გუნცაძის მეცადინეობით „საკვები თანხიდან" სესხი გაიტანეს, რამაც გააადვილა სიმინდის შეძენის ოპერაცია.

ეს, რასაკვირველია, ხალხის წყლულს ვერ დააამებს და ამიტომ საჭიროა სხვა ღონისძიებაც. ამიტომ ტფილისში არსებული ქართული საქველმოქმედო საზოგადოებაც სალათას ძილიდან უნდა გამოერკვეს და თავის საპატიო და მძიმე მოვალეობის აღსრულებას შეუდგეს, როგორც შიმშილობის შესახებ საჭირო ცნობების შეკრებით, ისე საშუალების მოსაპოებლად.

ერთი სიტყვით, ყველა ქართული საზოგადოებრივი და კულტურული დაწესებულება მოვალეა ხალხის თავზე დამტყდარ განსაცდელზე იფიქროს და შესაფერი ღონისძიება მიიღოს დამშეულთა დასახმარებლად.

ს. ე. ქ.

## მსოფლიო გამოფენა ქ. განში

(ერთის თვალის გადავლებით)

### საფრანგეთი *)

ინგლისიდან საფრანგეთის განყოფილებაში გავემართე. აქ სულ სხვა ქვეყანაა. აქ ყოვლისფერი იცინის, ყოველი ნივთი ბზინავს და ბრწყინავს, თითქო ყოველი საგანი გეარშიყება. საითკენაც მიიხედავ, ყველგან სინაზე და სიკოხტავე, შნო, მოხდენილობა, სიკეკლუცე... აგერ მაღალი, მოვარაყებული, ბროლის და ფაიფურის ვაზები; არ იცი რომელს დააკვირდე, ყველა წერწეტი, ყველა საუცხოო. აგერ უთვალავი წვრიმანი ნივთი, რქისა, ხისა, თუ ლითონისა; დაუსრულებელი წყება მორთული ოთახებისა და დარბაზებისა. აქ ამ გემოვნების მორთულობა, იქ იმ გემოვნების, ყველგან ოქრო, ვერცხლი, ხავერდი და აბრეშუმი. მორთულ დარბაზებში ხელოვნურად გაკეთებული მორთულ-მოკაზმული ადამიანები სხედან: აქ ბანქოს თამაშობენ, იქ სტუმრობაა, აქ არშიყობაა გაცხარებული, იქ მღერიან, აქ ცეკვავენ, იქ დინჯად მსჯელობენ და ყველა ეს იმდენად ცოცხლადაა გაკეთებული, რომ სანამ კარგად არ დავაკვირდი, მართლაც ცოცხალი ადამიანები მეგონა და ახლო მისვლას და გასინჯვას მოვერიდე. ღმერთო ჩემო, რა ძვირფასი და შნოიანადაა, შეკერილი ტანსაცმელები, როგორც მამა-კაცებისა ისე ქალებისა! ამაებს გვერდით კარიკატურული სურათების განყოფილებაა, აუცილებელი ნახევრად ტიტველი და სულ ტიტველი ქალებით. შემდეგ მისდევს ტყავეულობა, ფუნაგირები და მისი მოწყობილობა. საოცარია, როგორ გაუუმჯობესებია ამ ხალხს ტყავის მომზადება. უყურებ და არა გჯერა, რომ ეს მშვენიერება ღორის ტყავია.

გავიარე მთელი ქუჩა პირამდე სავსე საფართლო მაღაზიებისა, ტილო, ხავერდი, აბრეშუმი. შემდეგ ფევზის საჭერი იარაღები და მისი სხვა და სხვა მოწყობილობა. თოფები, ხმლები, დამბაჩები. წაღების მექანიკური საკერავი მანქანები. აქ ტყავები აწყვია; პირველი მანქანა საწაღე სახესა სჭრის, მეორე კალაპოტში აგდებს, მესამე სჭიმავს და ასე მთელი რიგი მუშაობის შემდეგ სრულებით დამზადებული პრიალა ფეხსაცმელი გამოდის.

გამოფენილია სამზარეულო და მისი მოწყობილობა. ამაში ფრანგებს, ხომ ბადალი არა ჰყავთ. რა და რა ნაირი ჭურჭლეულობაა, რა სისუფთავე, ან მოწყობილობა.

შემდეგ ხე-ტყე დამუშავებული, თუ დაუმუშავებელი. აგერ სტამბა და წიგნების გამოცემის საქმე, უანგარიშო და დაუსრულებელი. აგერ გემების განყოფილებაც. მრავალი ნიმუში წყალ ქვეშ მავალი გემებისა, დამხრჩვალთა საშველი იარაღები და ნავები. წყალქვეშ მავალი კაცები (ხელოვნურად გაკეთებული), სრული მათი ჩაცმულობით ღ რეზინის სასუნთქი მილებით. აგერ რკინეულობა მრავალი მოტორები და სხვადასხვა მანქანა, ყველა მოხდენილი, ლამაზი ღ პრიალა. აგერ ხილეულობა და ბოსტნეულიბა. ამაშიაც ხომ ფრანგებს ვერავინ შეედრება; აგერ პურეულობა; ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია. რა ლამაზად შეკრულია ძნები, ან სათავთავები. აი, ვენახები პანორამებით: ვაზი, მისი წამლობა, ღვინის მოყვანა და მთელი რიგი დარბაზებისა ბოთლებით გაქედილი. მაგრამ აი, დიდება და სახელი საფრანგეთისა თანამედროვე ცხოვრებაში, მისი საფრენი მანქანები—ჰაეროპლანები. გამოფენილია ნიმუშები კი არა, ნამდვილი ჰაეროპლანები თავიანთი სიგრძე-სიგანით. ყველა საუცხოვოა, არ იცი რომელს დააკვირდე, ან რომელი დაათვალიერო. თვალი მოვკარ ერთ სტატისტიკასაც „1909 წლის რეკკორდი. ლატამი აფრინდა 453 მეტრის სიმაღლემდე. 1913 წელს კი პერრეფონი 5,880 მეტრის სიმაღლემდე. აქ ხომ სინამდვილე ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს...

მაგრამ კმარა, თვალი დაიღალა, ნერვები აღმეძრა ამდენი ლამაზი სანახაობით. აქ რასაც უნდა შეხედო, ყოვლისფერი ლამაზი და შნოიანია. თუმცა მეათე ათასედიც ვერ დამითვალიერებია, მაგრამ მინდა ჩქარა მოვშორდე აქაურობას, ვერ მომინელებია, მახრჩობს ამდენი მშვენიერების სანახაობა...

ქუჩაში გამოვედი და თავისუფლად ამოვისუნთქე. ცოტა დავისვენე, ნერვები დავიმშვიდე და **სამხატვრო პავილიონში** შევედი. უთვალავი სურათებია გამოფენილი, ძველი თუ ახალი. უფრო კი თანამედროვე, დეკადენტურია. აქ თავ-თავიანთი სპეციალური განყოფილება აქვს ბელგიას, გერმანიას, საფრანგეთს და სხვათა. ოთახები ლაბირინტივითაა დაწყობილი და ისე დავიბენი შიგ, რომ გარედ გამოსასვლელი გზა სამჯერ შემექნა საკითხავი.

### სპარსეთი.

აქედან სპარსელებს ვესტუმრე. სხვებთან შედარებით პატარა, მაგრამ ლამაზი პავილიონი. კარებთან ბრუდე ხმალ-ხანჯლიანი სპარსელი იდგა. სწორედ რომ ტიპიური, უშნო პირისახის კაცი. შევედი შიგ. არა უშავს რა. კულტურულ ნაწარმოებების მიხედვით სპარსეთი არც ისეთი ფეხწასაკრავი ყოფილა, როგორც ზოგს შეიძლება ჰგონია. სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა, რომ ხელფეხს არ უკრავდეს, ის, უეჭველია, ჩქარა მოლონიერდება და ცოტ-ცოტად ჩამოიშორებს მის კარებზე მიმდგარ დაუპატიჟებელ „ოპეკუნებს".

უმთავრეს ყურადღებას, თქმა უნდა, ხალიჩები იპყრობს. გამოფენილია უშველებელი ხალიჩები ათი და თოთხმეტი საჟენისა სიგრძე-სიგანით. ხალიჩების გარდა არის კარგა ბლომად ნაქსოვები, აბრეშუმეულობა, ხმელი ხილი, მარცვლეულობა, ღვინოები. თურმე სპარსელებიც ამზადებენ ყურძნის ღვინოს?!

### იტალია.

სპარსეთიდან იტალიაში გადავედი. აქ უმთავრეს ყურადღებას ქანდაკება იპყრობს. სამი მეოთხედი გამოფენილი ნივთებისა სულ ქანდაკებაა. ამ მხრივ იტალიელებს, ეტყობა ვერავინ შეედრება. რანაირი ქანდაკება გინდა, რომ აქ არ იყოს გამოფენილი. შენ წინ მთელი ტყე სულშთაბერილი თიხისა და მარმარილოსი. სიხარული, სიყვარული, სიძულვილი, ძლიერება, შიში, მწუხარება, მოწონება, დაფიქრება, სიუხვე, სიძუნწე... ერთი სიტყვით, ყოველგვარი სულიერი მოძრაობა მხატვრის ნიჭიერ ხელს ცივი ქვისათვის ცოცხლად გადაუცია. საზოგადოებასაც ძლიერ მოსწონს, ეტყობა, იტალიური ხელოვნება, რადგან ხშირი იყ წარწერა: „ესა და ეს გაყიდულიაო". საყურადღებოა აგრეთვე იტალიური ღვინო. აქვე გაემართათ სასაუზმე, იყო ერთი ფაცი-ფუცი; ხრაკავდნენ, სწვავდნენ, სვამდნენ და სჭამდნენ. ამ მხრივ იტალიელებსა და ჩვენ, ქართველებს შორის დიდი მსგავსებაა, მხოლოდ აკლდა ჩვენებური მხიარული თამადა და მრავალ-ჟამიერი. კარგი იყო აგრეთვე წვრილმანი ვერცხლეულობა, საეკლესიო ნივთები და შესამოსები. იტალია ხომ კათოლიკობის ქვაკუთხედია.

### ბელგიელთა სხვადასხვა მანქანის განყოფილება.

იტალიელების პავილიონის გვერდით ბელგიელების მანქანათა განყოფილებაა. ეს საგამოფენოთ აშენებული სახლი კი არა, აქ რაღაც მუდმივი დიდი ქარხანა უნდა იყოს. გამოფენილია უმთავრესად მანქანები რკინის გზის საჭიროებისათვის სახმარი. ყველა ამოძრავებულია. მათი სიდიადე და რთული მოხაზულობა და მათი ხმაურობა, რაც გინდ ძაგარი ნერვების პატრონი იყოს კაცი, არ შეიძლება, რომ პირველ ხანს არ შეაშინოს. სხვათა შორის გამოფენილია უზარმაზარი რკინის ბორბალი, ღერძ-გაუყრელი წონით 5000 კილო (300 ფუთამდე), ისეა მოწყობილი, რომ ქვეშ გაკეთებული პატარა სახელურის შეწევნობით შეიძლის წლის ბავშვი თავისუფლად დაატრიალებს.

### ჰოლანდია.

აქედან ჰოლანდიაში შევიხედე. საყურადღებოა თავისებურობით პავილიონის გარეგანი არქიტექტურა. მაღალი, თანდათან წოწლოკინა და წვრილი გუმბათით დამთავრებული. ერთი შეხედვით საყდარი გეგონებათ. შეღებილია წითლად, და აშკარად ირჩევა სხვა პავილიონებისაგან. შესავალთან გამოფენილია სულის

*) იხ. „სახ. გაზ." № 979.

## აღმოსავლეთის საკითხი და ბალკანეთის ზავი

აღმოსავლეთის საკითხი იდეურად დაიბადა მას შემდეგ, რაც თურქები შუათანა საუკუნოებში ევროპას შემოესივნენ, დასცეს ბიზანტიის იმპერია, გამეფდნენ მთელი მის სივრცეზე, მოუსპეს სხვა და სხვა ერებს თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობა და დააარსეს სამხედრო დესპოტიზმზე დაფუძნებული სახელმწიფო. ამ დაუპატიჟებელ სტუმართა გაბატონება, როგორც საშინელი საფრთხე კულტურა-ცივილიზაციისათვის, არაოდეს არ ეჭაშნიკებოდა ევროპას, რომელსაც ოსმალები მუდამ ეკლად ესობოდა თვალში. თურქებმა ბოლო მოუღეს სერბიას ცნობილ კოსოვოს ბრძოლის შემდეგ 1389 წ., გაანადგურეს ბიზანტიის იმპერია 1453 წ. და მოსპეს ბუდაპესტის აღებით 1529 წ. უნგრეთის სამეფო. მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნოებში მათ რამდენჯერმე მიიტანეს იერიში თვით ვენაზედაც, მაგრამ ვერ გასცილდნენ ალპების ძლიერ რკალს და მალე მათ უნგრეთიც ავსტრიამ ჩამოართვა.

ბიზანტიის იმპერიის მოსპობა არაფერ სიძნელეს არ წარმოადგენდა ველური სიმამაცით სავსე ოსმალებისათვის, რადგან იქ არსებული შინაური ანარქია ხელს უწყობდა ევროპაში მათს დაბანაკებას. მაგრამ თუ დაპყრობა და დაქცევა ერთა და სახელმწიფოთა ოსმალებისათვის ადვილი საქმე იყო, ამავე დროს იქ მათი ფეხის მაგრად მოკიდება შეუძლებელი გახდა და აი აქამდე ოსმალთა ელემენტი ძველ ბიზანტიის საზღვრებში არა **დაბინავებულს,** არამედ **„დაბანაკებულთა"** სურათს წარმოადგენს. მათ ვერ შესძლეს ახალი ორგანიზაციის შექმნა, მათ არა აქვთ მართებლობის ნიჭი და აი ამისათვის მათივე საკუთარი ისტორია მათ სჯის და სრულიად განადგურებას უქადის. მათ ვერ შეჰქმნეს კეთილგანწყობილი სახელმწიფო თავის ფინანსებით, ჯარით და ადმინისტრაციით: ჩვეულებრივი აღმოსავლეთური დაუდევრობის და მუსულმანური ფატალიზმის გამო პირველყოფილ სულთანთა აბსოლუტური თვითმპყრობელობა შეუცვლელი დარჩა და მთელი სახელმწიფო ბანდიტთა უშველებელ ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ოსმალეთის დაქვეითების ხანა მეთვრამეტე საუკუნეში დაიწყო. სახელგანთქმული იანიჩარების მხედრობა გაუწვრთნელ მილიციად გადაიქცა, უკვე 1826 წელს **მაჰმედ მე-II-მ** დაიწყო ჯარის ევროპიულად მოწყობა და მას შემდეგ ყველა სულთანები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფოს სამხედრო ძალას, მაგრამ მიუხედავად ამისა უწესობა ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანთაგანი იყო ოსმალეთის მხედრობისა. სულთან **აბდულ-ჰამიდის** მეფობის ბოლო დრომდე არავითარი ფინანსიური კონტროლი არ არსებობდა სახელმწიფოში, მთელი ოსმალეთის შემოსავალი მიდიოდა სულთნის ხელში, რომელიც, რასაკვირველია, უმეტეს ნაწილს ხმარობდა თავის პირად მოთხოვნილებებისა და მახლობლების დასაკმაყოფილებლად. სახელმწიფო მოხელეები მთელი წლობით ჯამაგირს ვერ იღებდნენ და იძულებულნი იყვნენ თავზე დასწოლოდნენ ისედაც გაღატაკებულ მცხოვრებთ და თავი ქრთამებით ეკვებნათ. პროვინციების მართვა-გამგეობა ხელში ჰქონდათ ჩაგდებული ფაშებს, რომლებიც თავიანთ საბძანებელში ნამდვილ ფადიშაჰებივით მეფობდნენ. მათაც არ ეძლეოდათ განსაზღვრული ჯამაგირი და თავდაუჭერელად სძარცვავდნენ მცხოვრებთ ათასგვარი გადასახადით და ბეგარით. ხშირად სულთანები ფაშა-მმართველების თანამდებობებს ჰყიდიდნენ ფულად და ვინც მეტს მისცემდა, მას ჰგზავნიდნენ მმართველად.

ადვილი წარმოსადგენია თუ რანაირ მძიმე ტვირთად აწვათ თავზე შემოსეულ ბარბაროსთა ბატონობა ბიზანტიის სხვა და სხვა კულტუროსან ერებს. რადგანაც ოსმალებს ინტელექტუალური ძალა არ შესწევდათ უცხო და მაღალ კულტურის შეთვისებისათვის, რადგანაც მათ, მეორე მხრივ, ვერ შესძლეს თავიანთში გაეთქვიფათ მათ მიერ დაპყრობილი სამეფოს ერები, ამისათვის მათ ხელ-შეუხებლად დაუტოვეს მათი საკუთარი წოდება და საზოგადოდ, ეკლესიური წეს-წყობილება და ჩვეულებანი. ქრისტიანები თავისუფალნი იყვნენ სამხედრო ბეგარისაგან, რისთვისაც იხდიდნენ ერთგვარ ბაჟს, მაგრამ ამავე დროს თურქები მათ **რაიებს** უძახდნენ, რაც არაბულათ ნახირს, ჯოგს ნიშნავს და არ სთვლიდნენ მათ ღირსად აფიცრის ანუ რამე მოხელის თანამდებობისა. ოსმალეთის ბატონ-პატრონნი იძულებულნი იყვნენ ავად თუ კარგად შერიგებოდნენ ქრისტიანებთან ერთად ცხოვრებას, მაგრამ ეს დაგუბებული სიძულვილი და ძალიან ცხადი თავ-დაჭერილობა ხშირად იფეთქებდა ხოლმე, რასაც მოჰყვებოდა შესაზარი სურათები მხეცური სიძულვილისა და სარწმუნოებრივი ფანატიზმისა.

მოკლებული შინაურ ორგანიულ ძალთა შემოქმედებას, გატაცებული მხოლოდ დამონავებულ ერთა სისხლის წოვნით, შეძულებული და წყეული მცხოვრებთა უმეტეს ნაწილის მიერ, ოსმალეთი, რასაკვირველია, უნდა აშკარად მალე დაუძლურებულიყო და განადგურების გზას დასდგომოდა. და აი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე იწყება ისტორიული ნემეზიდის ის დამბლად დამცემი რისხვის ქუხილი, რომელიც აგერ ჩვენს დღეებში ოსმალეთს სრულიად წარღვნით ემუქრება.

ოსმალეთის დაქვეითებით, რასაკვირველია, ისარგებლეს იმ ერებმა, რომელთათვის უფრო საგრძნობელი იყო სულთანების მძიმე უღელი და ეროვნულმა რევოლუციებმა მოუპოვეს თავისუფლება სერბიელებს, ბერძნებს, რუმინელებს და ბულგარელებს.

საბერძნეთის განთავისუფლებამ 1820—1831 წლებში, სერბიისა—1804—30 და 1875—1878 წლ., რუმინიისა—1856—78 წლ., და ბულგარეთისა 1868—1908 წელს სრულიად შესცვალა ძველი ოსმალეთის სურათი და იდეურად მძღუტავი აღმოსავლეთის საკითხი მთელი ევროპის დღიურ პრაქტიკულ საკითხად გადააქცია. ამ ერთა თავისუფლებისათვის ბრძოლის დროს, ევროპა იძულებული იყო ჩარეულიყო საქმეში და დაეცვა თავისი ინტერესები. ადრევე ოსმალეთის ხსენებაც აღარ იქნებოდა ევროპაში, თუ არა სხვა და სხვა სახელმწიფოთა ინტერესების შეტაკება, რასაც უმთავრესად უნდა უმადლოდეს ერთ დროს ბრწყინვალე პორტა თავის, თუნდაც გატანჯულ, არსებობას.

ყველაზე შესამჩნევი როლი ოსმალეთის უკანასკნელი დროის ისტორიაში ითამაშა რუსეთმა. ოფიციალურ მიზეზად ოსმალეთის საქმეებში ჩარევისა იყო თანამორწმუნე მართლმადიდებელთა დაცვა-მფარველობა, უმთავრეს ნამდვილ მოძრავ ნერვად კი რუსეთის პოლიტიკისა, მუდამ სრუტეების საკითხი იყო და თვით დიდი ხალიფების სატახტო ქალაქი, რომლის ხელში ჩაგდება მას ევროპას დაუახლოვებდა და ამგვარად პეტრე დიდის მიერ გაკვეთილ ვიწრო სარკმელს ფართო კარებად გადააქცევდა.

რუსეთის ასეთი საწადელი, ხმელთაშუა ზღვის კიდეებზე ფეხის მოკიდებისა, მოუსვენრობას იწვევდა ინგლისში, რომელსაც რუსეთის გაძლიერება და დამეზობლება სახიფათოდ მიაჩნდა თავის ინდოეთის გზის თავისუფლებისათვის. როგორც ეხლა, ინგლისის პოლიტიკა წინააღმდეგი იყო ბაღდადის რკინის გზის გაყვანისა ღ ცდილობდა რუსეთის გავლენის შეცირებას სპარსეთში, აგრეთვე მეთვრამეტე საუკუნის ბოლოდან დაწყებული დიდი ბრიტანიის პოლიტიკოსები ყოველთვის მუშაობდნენ რუსეთის წინააღმდეგ, როდესაც კი ის გადამეტებულ ენერგიას იჩენდა თავის მიზნის განხორციელებისათვის მახლობელ აღმოსავლეთში. უკანასკნელი საუკუნის ისტორია სავსეა ამგვარი ქიშპობით.

ამგვარმავე ქიშპობამ გამოიწვია ყირიმის კამპანია და ჩაითრია შიგ საფრანგეთი, რომელსაც არაფრად ესიამოვნებოდა რუსეთის გაძლიერება ხმელთაშუა ზღვაზე, რადგანაც მეტოქეობისა ეშინოდა, მიზეზად კი რუსეთის საწინააღმდეგოდ ოსმალეთის კათოლიკეთა მფარველობას ხმარობდა.

მაგრამ ყველაზე მეტ წინააღმდეგობას რუსეთის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკას ავსტრია უწევდა. **Drang nach Osten**—დიდი ხანია ავსტრიის პოლიტიკის პრინციპად გადაიქცა. ჰაბსბურგთა მონარქია ნახევარზე მეტად სლავიანთა ელემენტებისაგან შემდგარი, მთელი თვისი ენერგიით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მორალურ გავლენის გაძლიერებას, რადგანაც ამ საკითხთან ერთად შეერთებულია მისი საკუთარი კეთილდღეობა. თავისი პირადი ინტერესებით გატაცებულ სახელმწიფოთ არ სურდათ მხარი დაეჭირათ ოსმალეთის კულტურულ განვითარებისათვის და ხელი შეეწყოთ მისი გაძლიერებისათვის. მართალია მის დანაწილებაში ისინი ვერ ასოდეს ვერ რიგდებოდნენ, მაგრამ ამავე დროს გარ შემო უსხდნენ **მომაკვდავ „აღმოსავლეთს"**, ხარბი თვალით უმზერდნენ მის მემკვიდრეობას და ოცნებობდნენ იმ გემრიელ ლუკმებზედ, რომელიც მათ წილად უნდა რგებოდათ ავადმყოფ კაცის აუცილებელ სიკვდილის შემდგომ. ამგვარად მეთვრამეტე საუკუნის დამლევს თეორიულად არსებული აღმოსავლეთის საკითხი უკვე გადადის პრაქტიკული განხორციელების ნიადაგზე და იღებს ორ გვარ მნიშვნელობას: ერთის მხრივ მის გადაწყვეტაში დაინტერესებული არიან ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ქრისტიანები, მეორე მხრივ მას ეძლევა საერთაშორისო მნიშვნელობა ზღვის სრუტეების საბოლოო მფლობელობაზე ბრძოლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასაბერი საკრავი იარაღები, თეთრი, მოვერცხლილი, თუ ნიკელგადაკრული. ეს, ეტყობა, მათი სპეციალობაა. იმდენია გამოფენილი, რომ ეს დარგი ხელოვნებისა იქ ძლიერ უნდა იყოს განვითარებული. ჰოლანდიის პავილიონში რომ შეხვალ, ერთი ზეზეური თვალის გადავლება საკმარისია, რომ ბელგია-ინგლის-საფრანგეთის შემდეგ რაღაც სულ სხვა ქვეყანაში იგრძნო თავი. ზედვე ეტყობა, რომ ეს ქვეყანა ქვა-ნახშირით ღარიბია, რადგან მანქანების ჰახაჰუხი აქ ნერვებს არ გიშლის, არც უთვალავი, რკინის ბორბლები თვალს გელანდება, არც საარშიყო ზიზილ-პიპილებს ჰხედავ. აჩნევ, რომ საქმე გაქვს პრაქტიკულ, იშვიათ შრომის მოყვარე ხალხთან. გამოფენილია ნივთები ადამიანის ცხოვრებაში ფრიად საჭირო. ბლომადაა სხვადასხვა ჯურის თაფლი, ზეთეულობა, ბრინჯი, ხორბლეულობა, სიმინდი, სიმინდის ფქვილი და სხვადასხვა სასმელი სიმინდისაგან გამოხდილი. სიმინდის ფქვილმა გამომზარდა, მაგრამ წარწერა რომ არ ყოფილიყო, თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ სიმინდისაგან ამგვარი ფქვილის ძიღება შეიძლებოდა. უსათუოდ წმინდა ხორბლის, ან კარტოფილის ფქვილად ჩავაგდებდი.

ჰოლანდია, როგორც ვიცით, ევროპაში პატარა სახელმწიფოა; ბულგარეთზე ცოტა დიდია, მაგრამ მას აქვს მდიდარი და ვრცელი ახალშენები, ეგრეთწოდებული ზონდის კუნძულები: სუმატრა, იავა, ბორნეო და სხ. იმ ქვეყნებში ჰხარობს ბევრი შაქრის ლერწამი, თამბაქო, ოეზინის ხე, მიხაკ დარიჩინი, ვახილი და სხვადა სხვა გვარი ტროპიული კაკალი. ამ მცენარეების დამუშავება, როგორც სჩანს, ჩინებულადა აქვთ დაყენებული და მთელ ქვეყნიერობაში გასაყიდად. განცვიფრებაში მომიყვანა კაცის თავის სისხო კაკლებმა. თვით ჰოლანდიაში რაციონალური ხვნათესვის გარდა ძლიერ განვითარებულია მერძეობა და ყველის გაკეთება. გამოფენილია ყველეულობა.

საგულისხმო იყო წიგნების და ჟურნალ-გაზეთების სტატისტიკა ფართოდ კედელზე ჩამოწერილ-გამოხატული, მაგრამ წარწერა მხოლოდ ჰოლანდიური იყო და სამწუხაროდ ზეზეური შეხედვით ვერა გავუგერა. გამოფენილია საუცხოო ხელოვნებით ცაჩუქურთმებული ხის საკურთხეველი და სხვა ძვირფასი საეკლესიო ნივთები და შესამოსლები. „აქაც ოლარი და ფილონი? საცეცხლური და საკმეველი? აქაც არა მმორდება? ვა, საშველი მაინც არ ყოფილა“.—გავიხუმრე ჩემთვის და კარებისაკენ გავეშურე.

**უიარალო.**

(შემდეგი იქნება)

# წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლა

(30 წლის არსებობის გამო)

დღეს, 4 სექტემბერს, შესრულდა სრული 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსდა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლა. ეს პირველი სამეურნეო სასწავლებელი დაარსდა ჩვენი სასიქადულო მხცოვანი მოღვაწის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილის სრული თაოსნობით და მისი უხვი შემოწირულებით. სკოლის კურთხევა დიდის ამბით იდღესასწაულეს. შეკრებილ გლეხობას ჩვენი მწერლობის ბუმბერაზმა ილია ჭავჭავაძემ თავისი ისტორიული სიტყვით მიმართა და ასეთი საჭირო სკოლის დაარსება მიულოცა. სკოლის დაარსების დღიდან მზრუნველობას უწევს მისი დამაარსებელი ბ-ნი ილია წინამძღვრიშვილი. 30 წლის განმავლობაში ის თავს დასტრიალებს ამ სკოლას და მისთვის არავითარ მსხვერპლს არ ერიდება. ვინ არ იცის, თუ რა ძნელია ასეთი რთული საქმის გაძღოლა, მაგრამ სკოლის სიყვარულმა ბ ნ ილიას შეუძლებელი შეაძლებინა, სკოლას სრული 30 წელიწადი გააძლებინა, ადგილობრივ მცხოვრებთ სკოლის საჭიროება დაუმტკიცა და შეაყვარა იგი. 30 წლის წინად თუ ამ სკოლაში 18 მოწაფე სწავლობდა და მათშიაც თითქმის უმეტესობა სხვა, გარეშე მაზრიდან იყო, დღეს 130 მოწაფეზე მეტი ადგილობრივ გლეხების შვილებია.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ჩვენებური საზოგადო დაწესებულებების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს ღირსეულად აღნიშნონ ამ სკოლის არსებობისა და ბ-ნ ილია წინამძღვარიშვილის მოღვაწეობის 30 წლის თავი. რადგან ამ დღესასწაულის გამართვა დღეისათვის არ მოესწრო, საიუბილეო კომიტეტმა გადასწყვიტა იუბილეი გამართოს ამ თვის 29-ს, კვირას. ამავე საკითხს მაშინ ჩვენც უფრო ვრცლად შევეხებით. ახლა კი მივულოცავთ ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილს დღევანდელ მისთვის ფრიად სამახსოვრო დღეს და ვუსურვებთ კიდევ დიდხანს შესძლებოდეს საზოგადო საქმის მესვეურობა და წინამძღვრობა.

# ნუ დაივიწყებთ

ნეტავი ჩემი სახელი
მაღლა მთაზედა ამეგო..
**„დედა ენა.“**

გაზეთებში ერთმა-ორმა წერილმა გაიელვა: წმ. თამარ მეფის სახელზე ტაძარი უნდა აშენდესო.

მეგონა, ესეც ერთი ქართული ოცნება იქნება—მეთქი. ვინ იცის, ზოგს აზრად რა მოუვა, თუ წერაც იცის... და ვინ ქართველია, წერა არ იცოდეს?.. ერთს წერილს გამოაცხობს. თუ სხვამაც კვერი დაჰკრა, იტყვიან: საზოგადოებრივი აზრი დაიბადაო.—და ყველას თავი მოგვაქვს: ჩვენც ნახირ-ნახირო.

ასე მეგონა. მაგრამ როცა „სახალხო გაზეთის“ 973 №-ში წავიკითხე, „წმ. თამარ მეფის ტაძრის აგების საქმემ საზოგადოებრივი ხასიათი მიიღოო“,—ვთქვი ჩემს გულში: ჰო, ახლა კი აღარა ხუმრობენ—მეთქი.

რის ოცნება! წერილის ავტორის, ბ-ს თამარიანის თქმით, საქმე თითქმის გაჩარხულა.

ანტონი ეპისკოპოზს თავს უდვია საქმე.

ქართველი საზოგადოება ამ მოკლე ხანში ხელმოწერილს არზას მიართმევს მის მეუფებას, ჩვენი უწმინდესი გულის წადილი აგვისრულეო.

აღმშენებელი კომიტეტი ნებართვას აიღებს, ფულს შეკრებს და ტაძარსაც ააშენებს.

„ქართველი ქალის თანაგრძნობაც სულს ჩაუდგამს ამ საერო საქმესაო“... ახლავ „ქალთა წრეები“ უნდა დაარსდეს საქართველოს ყველა კუთხეში ფულის მოსაგროვებლად.

თუმცა ბ. თამარიანი ცხადად არ ამბობს, მაგრამ მისი სიტყვიდან სჩანს, რომ ხალხის იმედიც უნდა გვქონდეს. „რა საქმესაც ხალხი ხელს მოჰკიდებს და ეცდება მის გაძღოლას, ყოველთვის დიდებულად დაასრულებსო“.

თამარ მეფის ტაძარი გელათის გვერძზე უნდა აშენდეს.

თავად-აზნაურობამ ტაძარს საბურთალოზე უნდა დაუთმოს ადგილი.

ერთი სიტყვით, ბ-ნ თამარიანს ყველაფერი მოუსაზრებია წინადვე, ისიც რომ ფული სამეურნეო ბანკში უნდა ინახებოდესო. მხოლოდ ერთი რამ დავიწყებია ბ-ნს თამარიანს: შენობის ხარჯთ-აღრიცხვა. მაგრამ ეგ წვრილმანი სპეციალისტის საქმეა, ამიტომ სამართლიანად ბძანებს ბ. თამარიანი: „ერთის შეხედვით შეიძლება ეს საქმე ძნელად ეჩვენოს ადამიანს, მაგრამ საერთო ძალ-ღონით არც ისე ძნელი უნდა იყოს წმ. თამარის ტაძრის აგება“.

მეც აგრე მგონია. ქართულ გიმნაზიისა და ქართულ თეატრის ამშენებელს რად უნდა გაუძნელდეს ტაძრის აშენება? სრულებით არ არის ძნელი, მხოლოდ, სანამ შენობას შეუდგებოდეთ, ზოგი რამ არ უნდა გვავიწყდებოდეს.

ნუ დავივიწყებთ, რომ ანტონ ეპისკოპოზის ზევით სინოდალური კანტორა არის, ეგზარხოსი, ინოკენტი და უწმინდესი სინოდი, სადაც ბევრს ოცნებას შეჰკვეცია ფრთები.

ნუ დავივიწყებთ, რომ „ქართველთ საზოგადოების წევრთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებს“ არზის დაწერა როდი ეძნელებათ, მაგრამ ხელის მოწერაზე რომ მიდგება საქმე, ათასი ეჭვი და შიში შეუვათ გულში. კირიონ ეპისკოპოზის დასახსნელადაც დაწერილა საუცხოო არზა, მაგრამ ხელის მომწერი არ ვინ გამოუჩნდა.

ნუ დავივიწყებთ, რომ მცხეთის ტაძრის შეკეთებისათვისაც იყო კომიტეტი, მაგრამ ტაძრის სახურავში წვიმა ჩამოდის, გუმბათში ტრედები ბუდობენ და რემონტის ფული სადღაც გაჰქრა.

ნუ დავივიწყებთ, რომ კომიტეტის წევრად საზოგადო მოღვაწე თუ არ ავირჩიეთ, ეწყინება, და თუ ავირჩიეთ, არაფერს გააკეთებს.

ნუ დავივიწყებთ, რომ ყველა საზოგადო მოღვაწეს, თავის სარჩოს გარდა, ათასი საზოგადო საქმე აქვს.

ნუ დავივიწყებთ, რომ „ქალთა წრეები“ ილიას ფონდის შესაკრებადაც იყო. ცა და ქვეყანა შესძრეს ამ „წრეებმა“ და ათას ორას თუმანზე მეტი ვერ მოაგროვეს. ახლა მაგდენსაც ვერ მოაგროვებენ.

ნუ დავივიწყებთ, რომ ქართველ ხალხს საეკლესიოდ ფული არა აქვს: შემამული გაკოტრებულია; გლეხი—გატყავებულია ზეკუციებით და გადასახადებით.

ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ არა გვყავს სომხებივით ბურჟუაზია, რომელიც ერთ კვირაში 30 ათას თუმანს სწირავს შუშის სასულიერო სემინარიას.

ნუ დავივიწყებთ, რომ არც თავად-აზნაურობის ხაზინის იმედი უნდა გვქონდეს. მაგ ხაზინამ ერთი მილიონი ვალი უნდა გაისტუმროს, რომელიც ქართულ გიმნაზიას და ქართულ თეატრს აძევს.

ნუ დავივიწყებთ, ვის შევადგენინოთ ტაძრის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა: ტერ-სარქისოვს თუ ობლონსკის.

ნუ დავივიწყებთ, ვის ავაშენებინოთ ტაძარი: ანდრეოლეტის თუ მელქუმოვს.

ნუ დავივიწყეთ, ვის მოვახატვინოთ ტაძარი: გრინევსკის თუ ლონგოს.

ნუ დავივიწყებთ, ვისთვის ვაშენებთ წმ. თამარ მეფის ტაძარს, რადგანაც განათლებული ქართველი ურწმუნოა, გაუნათლებელი კი—ცრუმორწმუნე. ეკლესია ერთს მაშინ აგონდება, როცა საზოგადო მოღვაწეს მარხავენ; მეორეს კი, როცა დღეობაა. ერთსა და მეორე შემთხვევაში დიდი ტაძარი კი არა, დიდი გალავანია საჭირო.

ნუ დავივიწყებთ, რომ ქართულ ეკლესიას, სანამ დგას, არავინ ეკარება, და როცა დაიქცევა ეშმაკები დაეპატრონებიან.

**რიშ-ბაბა.**

# მუშათა ცხოვრება

**დაზღვევა უმუშევრობისაგან.**

გერმანიაში დასავლეთ ევროპის თანამედროვე სამრეწველო განვითარებამ უმწვერვალეს საფეხურამდე კაი ხანია მიახწია და უკვე დაღმართში დაეშვა. სამრეწველო მოღვაწეობის შესრულებას თან მოსდევს უმუშევრობა მთელის თავის სიმწვავით. გერმანიამ, სადაც მრეწველობა დიდად განვითარებულია, იგრძნო ეს ცვლილება. იქ მუშათა ბაზარი უკანასკნელ დროს მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება.

გერმანიის ოფიციალური სტატისტიკური ბიურო აღნიშნავს, რომ სრულებით აღარაა ან ძლიერ მცირეა მუშის ხელის მოთხოვნილება მრეწველობის უმეტეს დარგში. ამავე დროს მუშები გამწარებით ეტანებიან თავისუფალ ადგილებს და უმუშევართა რიცხვი დღითი—დღე იზრდება. უკანასკნელმა რიცხვმა იმატა არა მარტო ამ წლის წინანდელ თვეებთან შედარებით, არამედ გასული წლის თვეებთან შედარებითაც, სტატისტიკური ცნობები ფრიად სამწუხარო სურათს გვიხატავენ უმუშევრობის შესახებ. რა საშუალებას ხმარობს გერმანია ამ თანამედროვე მრეწველობის სიბოროტის წინააღმდეგ?

საუბედუროდ გერმანიის სოციალურ კანონმდებლობაში დღემდის შეტანილი არაა დაცვა მუშისა უმუშევრობის შედეგებისაგან. გერმანიაში დღემდის არ არსებობს დაზღვევა უმუშევრობისაგან.

დღემდის მუშები უმუშევრობის დროს დახმარებას იღებდნენ მხოლოდ თავიანთ ორგანიზაციებისაგან, რომელთაც განსაკუთრებულ მიზნად ჰქონდათ დასახული ასეთი დახმარება. ხოლო ზოგიერთს, იშვიათს შემთხვევაში უმუშევრობის საწინააღმდეგო ზომებს ხმარობდა ზოგი ქალაქის თვითმმართველობა, დახმარებას უწევდა ფულით უმუშევრებს. მაგალითად წელს იანვარში მიუნჰენმა 50 ათასი მარკა მისცა უმუშევართ დასახმარებლად. უმეტეს შემთხვევაში ქალაქები უმატებენ თავის კასიდან ფულს იმ დახმარებას, რომელსაც უმუშევარი იღებს მუშათა ორგანიზაციისაგან. ამ ფულის მისაღებად საჭიროა სხვა და სხვა პირობის შესრულება, მაგ. უმუშევრობის მიზეზი თვითონ მუშა არ უნდა იყოს. ამგვარი პირობის დადება, რასაკვირველია, მეტად ზღუდავს დახმარებას ფარგალს და მუშასაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს.

საერთოდ უმთავრესი, მიზეზი ქალაქთა დახმარების სისუსტისა არის საქალაქო თვითმართველობათა დღევანდელი შემადგენლობა; ქალაქის საქმეებს განაგებენ მეტ წილად შეძლებული კლასები, რომლებიც მაინც და მაინც ხალისით არ ეკიდებიან მუშათა დახმარების საქმეს. ასე თუ ისე, დადგა დრო, როცა უნდა შემუშავდეს კანონი სავალდებულო დაზღვევის შესახებ უმუშევრობისაგან. ყველაზე ადრე ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია გერმანიაში ბავარიამ, სადაც მთავრობამ რამდენიმე თათბირი გამართა უმუშევართა დახმარების მოწყობისათვის. იენის სოციალ-დემოკრატიის მომავალ პარტიულ კრებაზე აღძრული იქნება საკითხი, რომ გამოიცეს საიმპერიო კანონი უმუშევრობისაგან დაზღვევის შესახებ. პარტიის საპარლამენტო ფრაქცია, ალბად, სულ ახლო მომავალში მოითხოვს ამ კანონის განხორციელებას, და თუ მივიღებთ მხედველობაში ეხლანდელს უმუშევრობის სიმწვავეს, დავრწმუნდებით, რომ გერმანია სულ მალე ედირსება უმუშევრობის დაზღვევის საკითხის გადაწყვეტას.

# „კლდე“-სა და „განთიადს“

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ. რედაქტორო! კარგად ვიცი, რომ კერძო ხასიათის ცნობების ბეჭდვა არავისთვის საყურადღებო არაა, მაგრამ „განთიადი“-სა და ჟურნალ „კლდის“ კერძო ხასიათის შენიშვნებს საჭიროდა ვსთვლი ანგარიში გაუწიო. განსაკუთრებით უკიდურესობაში ვარდება „კლდე“. როგორც იცით, „იმერეთში“ ჩემი წერილები იყო ქართული გაზეთების შესახებ. ვეხებოდი მათ ნივთიერ ცხოვრების საშინელებას და ფაქტებად მომყავდა თვით რედაქტორების ცნობები და წერილები, რომელთაც საზოგადო ხასიათი ჰქონდა, **თან ბოდიშსაც ვიხდიდი,** რომ დაუკითხავად ვაქვეყნებდი ბარათების ზოგ ნაწილს. მაგრამ არც ერთ ჩემს ცნობაში არც სათაკილო და არც დასამალავი არა იყო რა და ჩვენც შეგნებულად ვიყენებდით მასალას. „კლდე“-ს ჰგონებია რომ შევცდით, მაგრამ სადაური შეცდომაა, როცა საქმეს ვასრულებთ და გზა და გზა ბოდიშსაც ვიხდიდით. მაშ, კარგად გვქონებია წარმოდგენილი საქმის ვითარებაც. შემდეგ „კლდე“ გვამკობს პირდაპირ საძაგელი ეპიტეტით: **ღლონტი „ლიტერატურულ აზეფობა“-ს ეწევა, იგი დასელებმა გამოაგდეს და სხ.** ძარგალიტები. ვაცხადებ საჯაროდ, რომ ეგ არის ყოველ საფუძველს მოკლებული სიცრუე. მე არავის გაუგდივარ, მე მხოლოდ ჩემის რწმენით დავუახლოვდი იმ ჯგუფს, რომელიც ცხოვრებაში ატარებს ჩვენი ყოფის გაუმჯობესებისათვის ეროვნულ ხასიათის პოლიტიკას. ეს დაახლოვება ერთ წუთში არ მომხდარა. 1908 წლიდან, პეტერბურგში საგანგებოდ მუშაობამ საქართველოს ეკონომიკაზე თან და თან დაგვაახლოვა ამ ჯგუფს და სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩამოყალიბების პროცესში შესაძლებლად ვსცნობდით სხვა და სხვა გაზეთში მუშაობას და ეს მუშაობა უმთავრესად ეხებოდა არა პროგრამულ საკითხებს, არამედ მხოლოდ აკადემიურს. ახლა ჩვენ განმორებული ვართ „განთიადს“, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ იდეურ ნიადაგზე; შეძლების მიხედვით ჩვენ ჩვენს ძალას უშურველად და უანგაროდ ვალევდით იმ ჯგუფს, რომელმიაც ძველად, 1908 წლამდე, ვტრიალებდით და ვმუშაობდით. რაც შეეხება ხიზანთა საკითხს, თითქოს ჩვენ ჩირქი მოვსცხეთ „კლდის“ რედაქციას, მე არ მესმის ყოვლად პატიოსანი საშუალებით, ზრდილობიანად საკითხზე არ დათანხმება და ამ შემთხვევაში ბ. დ. კახელის პოზიციის სიყალბე განა მოასწავებს რედაქციის ჩირქის მოცხებას?

1770 წელი, ეს ის წელიწადია, როცა პრაქტიკულად იხსნება აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაა რაღაც უბრალო უთანხმოება საზღვრებზე იწვევს ომს რუსეთსა და ოსმალეთს შორის. 1768 წ. რუსეთის გამარჯვება თვით ოსმალეთის არსებობას ემუქრება. რუსეთის ფლოტმა გადასწვა ოსმალეთის ფლოტი **ჩესმეში, ჯარმა** დაიპყრო დუნაის მთელი პროვინციები 1870 და ისღა დარჩა, რომ მისდგომოდა სატახტო ქალაქს და მის კედლებზე ძლევის დროშა აეფრიალებინა. მაგრამ რუსეთის პოლიტიკის დაუძინებელმა მეტოქემ ავსტრიამ იჩინა თავი. **მარია ტერეზიამ** კავშირი შეჰკრა ოსმალებთან რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის და ომმა, რომელზედაც რუსეთი დიდს იმედს ამყარებდა, თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა; ავსტრიამ კი თავის მეგობრული დახმარებისათვის ხელთ იგდო **ბუკოვინა,** დასახლებული რუმინელებით. **კაინარჯიში** მომხდარ შეთანხმების ძალით რუსეთმა მარტო რუმინიის პროვინციებში მოსახლე ქრისტიანების უფლება მოიპოვა. იგდო რა ხელში სრულიად უომრად მთელი პროვინცია, ავსტრიამ მალე იბრუნა თავისი პოლიტიკა და ახლად დამეგობრებულ ოსმალეთს ზურგი შეაქცია. ეხლა მას უნდოდა შეთანხმებოდა რუსეთს და მასთან ერთად გაეყო აწ დაქვეითების გზაზე დამდგარი ბრწყინვალე პორტას მემკვიდრეობა. მართლაც **ეკატერინე მეორის** და ავსტრიის იმპერატორის **იოსებ მეორის** შორის ამის შესახებ სრული შეთანხმება არსებობდა და ოსმალეთისათვის მალე უნდა გლოვის ზარს დაეკრა. მაგრამ ბედმა აქაც გადაარჩინა ოსმალეთი მოახლოვებულ აღსასრულს. **საფრანგეთის რევოლუციამ** მიიპყრო დასავლეთისაკენ მთელი კაცობრიობის ყურადღება და თავიდან აიცილა **„ავადმყოფ ადამიანს“** მოახლოვებული ბოლო.

ავსტრია გაერთო ევროპის პოლიტიკაში. იგი გაიტაცა აბსოლუტურ მონარქიების ფალავანის როლმა ჯერ **ნაპოლეონის** და მერე საფრანგეთის რევოლუციის გავლენის წინააღმდეგ. მისი პოლიტიკის მესაჭის, **მეტერნიხის** მიზანი იყო საერთაშორისო მეფეთა კავშირის შექმნა ერების წინააღმდეგ. ავსტრია იყო ავტორი „წმინდა კავშირისა“, მის პოლიტიკას მისდევდა და ემორჩილებოდა მთელი ევროპის დიპლომატია და ამიტომ ახლო აღმოსავლეთის საქმეებს ვერ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას და რუსეთს, დაწყებული 1812 წ. 1830 წლამდე, შეეძლო სრულიად თავისუფლად ემოქმედნა.

1821 წელს იფეთქა საბერძნეთის აჯანყებამ, რომელიც არა ერთხელ გამეორებულა მის ისტორიაში მაგრამ თურქებს მუდამ ადვილად ჩაუქვრიათ. ეგვიპტის ფაშამ, მორჩილმა ყმამ დიდის სულთნისა, ამ ჯერადაც სწრაფად მოსპო საერთო აღელვება; დაიპყრო მთელი საბერძნეთი და გაანადგურა მისი სატახტო ქალაქი **ათინა.** მაგრამ **კუნძულ ნიოსზე** მომხდარმა ქლეტამ 1827 წ. დაარღვია ევროპის მშვიდობიანი გულგრილობა და რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი საზოგადო აღელვების ზედგავლენის ქვეშ, რომელიც გამოიწვია ამ ბარბაროსულმა აქტმა, ჩაერივნენ გაფთრებულ ბაში-ბუზუკების დასამშვიდებლად. ამ სამ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებამ უფრო გაალეცხლა ოსმალეთი. მის დაუფიქრებელ მოქმედებას მოჰყვა ის, რომ მას შეტაკება მოუხდა **ნავარინთან** დემონსტრაციის მიზნით გაგზავნილ ესკადრასთან, რამაც გამოიწვია ხელახლად ომი და რომელიც გათავდა რუსეთის გამარჯვებით და **ადრიანოპოლის** ზავით.

ამ ომმა გაანთავისუფლა საბერძნეთი და დამონავებული ოსმალეთის პროვინცია თავისუფალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადააქცია, რუსეთი კი ჯერ-ჯერობით უნდა დაკმაყოფილებულიყო დუნაის შესართავის დასაკუთრებით.

რუსეთის ამ გამარჯვებას მალე მოჰყვა დიპლომატიური გამარჯვებაც, როდესაც რუსეთმა მოუპოვა **მილოშ ობრენოვიჩს** 1830 წ. სერბიის შთამომავლობითი მთავრის უფლება. წინადაც, სანამ **ნაპოლეონ** პირველთან ომებში გაერთობოდა, რუსეთი მხარს უჭერდა სერბიაში დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას. მისი დახმარებით გაიმარჯვა **ყარა გიორგის** მეთაურობით მომხდარმა აჯანყებამ და გაამეფა ყარა გიორგი (1806—1813), რომელიც შემდეგ მოკლულ იქმნა მილოშ ობრენოვიჩის თანხმობით.

ამგვარად, რუსეთი შეიქნა ფაქტიური მფარველ-პატრონი ოსმალეთის ქრისტიანობისა, მისი მორალური ავტორიტეტი გაიზარდა, მთელი ბალკანეთი შეჰყურებდა მას, როგორც განმათავისუფლებელ გენიას, მარტო მისგანდა ელოდნენ შველას და ხსნას.

როგორც ვიცით, ბერძნების და სერბიელების შემდეგ **ვალახიის** და **მოლდავიის რუმანელებმა** გამოაცხადეს თავისი დამოუკიდებლობა; ამ ორ პროვინციაში დამკვიდრებული იყო განსაკუთრებითი მართველობა, რომელიც შესდგებოდა ჰოსპოდარისაგან და კეთილშობილთა წარმომადგენელთაგან. რუსეთს ადვილად შეეძლო ესარგებლნა თავისი გამარჯვებით და რუმინიისთვისაც მიენიჭებინა დამოუკიდებელი და სრულიად თავისუფალი არსებობა; მაგრამ აქ მოხდა იგივე ზემოხსენებული გარემოება, რომელიც ავსტრიამ ჩაიდინა. **ნიკოლოზ პირველმა** რუსეთის ინტერესები მსხვერპლად შესწირა თავისუფალ პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლას და აბსოლიუტიზმის აპოლოგეტობას. რუმინიის ლიბერალებს კი უნდოდათ თავისუფალ პრინციპებზე დამყარებული კონსტიტუციონალურ სახელმწიფოს შექმნა. ამაში ნიკოლოზ პირველი მათ მხარს ვერ დაუჭერდა. პირიქით, ნიკოლოზ პირველმა მალე აშკარად დაანახვა ყველას ძველი რუსეთის პოლიტიკის შეცვლა.

8 ივლისს 1833 წ. ხელმოწერილ იქმნა საიდუმლო **უნკიარ-სკელესის** შეთანხმება, რომლითაც რუსეთი ჰპირდებოდა სულთანს შველას და დახმარებას რვა წლის განმავლობაში. თუ ამ დროს განმავლობაში რუსეთს მოუხდებოდა ომი რომელიმე დიდ სახელმწიფოსთან, ოსმალეთი მოვალე იყო ჩაეკეტნა სრუტეები და ამ მხრივ უზრუნველეყო რუსეთის საზღვრები.

ასეთპა, მართალია საიდუმლოდ შედგენილმა კავშირმა, რომელიც არავისთვის კი საიდუმლო არ იყო, გამოიწვია საერთაშორისო ინტერესი და ყურადღება.

ავსტრიამ, საფრანგეთმა და მეტადრე ინგლისმა კარგად დაინახეს თუ რა ძალა ეძლეოდა რუსეთს უნკიარ-სკელესის შეთანხმებით და რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მას კონსტანტინეპოლის და ზღვის სრუტეების საკითხების გადაჭრაში და ამიტომ გადასწყვიტეს რუსეთისთვის ხელი შეეშალათ. ამისთვის ინგლისს და ავსტრიას მალე მიეცათ შემთხვევა. როდესაც 1839 წ. ეგვიპტის ფაშამ მაჰმედ-ალიმ, რომელიც უმადური იყო სულთანისა და თხოულობდა ამ უკანასკნელისაგან დაკმაყოფილებას საბერძნეთის რევოლუციის ჩაქრობის დახმარებისათვის, განაახლა ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. ინგლისმა და ავსტრიამ 1840 წ. ლონდონში ხელშეკრულება დასდვეს ოსმალეთთან, რომელსაც ომი ეწადა და ამგვარად ხელი შეუშალეს რუსეთის მფარველობის კერძო გავლენას. მალე კი ინგლისის ზედგავლენით მოხდა საერთაშორისო შეთანხმება სრუტეების შესახებ, რომლის ძალითაც არავის სამხედრო გემს ნება არ ეძლეოდა თავისუფალი მოძრაობისა დარდანელსა და ბოსფორში. ეხლა ინგლისი იყო გამარჯვებული, მან მიაღწია თავის წადილს და გაბათილა ფაქტიურად **უნკიარ-სკელესის** სახიფათო კავშირი. აქ იწყება ახალი ხანა ოსმალეთის ისტორიაში—მას ევროპა ჰპატრონობს.

**ნიკოლოზ პირველმა** არ შესცვალა თავისი პოლიტიკა, რომელიც კონსტანტინეპოლის და სრუტეების გარშემო ტრიალებდა, მაგრამ ყველა მისი აზრის სამოქმედოდ მიმართავს ფხიზლად სდარაჯობდა ინგლისი.

**ყირიმის ომი** არის შედეგი ამ პოლიტიკურ ქიშპობისა. ინგლისს, ამ კომპანიის სულის ჩამდგმელს, ჰსურდა სამუდამოდ მოესპო რუსეთის ხელის პოტინი კონსტანტინეპოლისაკენ ყირიმის ომში ინგლისის, საფრანგეთის და ოსმალეთის შეერთებულმა ძალებმა სძლიეს რუსეთი. ამ ომის შემდეგ, რომელიც **პარიზის კონგრესით** დაბოლოვდა 1856 წ. რუსეთს აეკრძალა სამხედრო ფლოტის ყოლა შავ ზღვაზე, რითაც ის ნაკლებ საშიში ხდებოდა ოსმალეთისათვის და სრულიად სპობდა სრუტეების საკითხს; ამას გარდა ამ კონგრესის დადგენილებითვე ყოველი ცდა ოსმალეთის დანაწილებისათვის უნდა ჩათვლილიყო ევროპის საწინააღმდეგო მოქმედებად.

ეხლაც ინგლისი გამარჯვებული იყო, მან აისრულა თავისი განზრახვა და რუსეთს კარები გამოუკეტა ხმელთაშუა ზღვაში გამოსავლისათვის. რუსეთს აღარ შეეძლო ძველებურად თავისუფლად ემოქმედნა ოსმალეთში, დაეცვა თავის თანამორწმუნეთა ინტერესები და ჰქონებოდა ძლიერი მორალური გავლენა. ეხლა თვით ევროპამ დაიწყო ქრისტიან ერთა მფარველობა. მაგრამ მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ინგლისი სულ სხვა გზას დაადგა. მან მათს აჯანყებას და იარაღით ზურგის გამაგრებას არჩია რეფორმების გზა. სულთანის ირადეთი ქრისტიანებს მიეცათ თანასწორი უფლება მუსულმანებთან. ევროპისავე ჩაგონებით სულთანმა მისცა სრული ავტონომია მოლდავ-ვალახეთა ორს პროვინციას. ერთი მხრით ინგლისის პოლიტიკა ვითომდა აკმაყოფილებდა ასე თუ ისე ქრისტიან ერთა მოთხოვნილებებს, მეორე მხრით კი სრულიად არ ასუსტებდა სულთნის ავტორიტეტს და მადას უკარგავდა მას კვლავ რუსეთს დამეგობრებოდა.

**ი. ტ.**

(შემდეგი იქნება).

საზოგადო ხასიათის ნაწილზე კი ეგები დრო ვიშოვოთ და მოვილაპარაკოთ, ხოლო თუ „სახალხო გაზეთმა ა. ყიფშიძის წერილები არ გაარჩია, ეგ იმიტომ, რომ თვით ბ. ყიფშიძემ თავისი სტატია ისე დაამთავრა, რომ „სახ. გაზ.“-ს შეეძლო ეფიქრა და მეც ვფიქრობდი, რომ მას გაგრძელება ექნებოდა. აბა გადაიკითხეთ ა. ყიფშიძის წერილის ბოლო და დარწმუნდებით. ამ ჟამად ეს იყოს.

**თევდ. ღლონტი.**

# ქუჩური წიგნები

ამას წინად ბაზარზე შემთხვევით ხელთ ჩამივარდა რამდენიმე წიგნაკი ამ ერთი კვირის განმავლობაში სახალხოდ გამოცემული. მოვიყვან ზოგიერთების სათაურს: 1) „იშვიათი სალხინო, სამეცნიერო სიზმრის ახსნა“, შედგენილი მხატვარი კ. გრიგორიანცისა და რედაქტორობით გამოცემული გ. ი. სკანდარნოვას მიერ. 2) „ორთაჭალის თაიგული“ გამოცემული ალ. შახბარათოვისა 92, 3) „გასაცინარი ანეკდოტები ხოჯა მოლლა ნასრ-ედ-დინისა“ ნათარგმნი და შედგენილი გიორგი ი. სკანდარნოვას მიერ, 4) „ჯიგი-ჯიგი! ვახე-ვახე!“ და სხვა ლექსები შეკრეფილი ბ. ა-სა. 5) „შენი გულისთვის შემწვარ ქათამს შევჭამო“ დ. გივიშვილისა და სხვა...

გავაცნობ მკითხველებს ზოგიერთის შინაარსს, რათა საზოგადოებამ გაიგოს თუ რა ღირსების წიგნები ვრცელდება ჩვენს მდაბიო ხალხში ათასობით და შეიძლება ათი-ათასობითაც.

ავილოთ „სიზმრის ახსნა“. წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებულია ბახუსის, თუ ბახუსის მიმდევრის, მხიარული სახე ყურძნის მტევნებით შემკული, რომელსაც ქვეშ აწერია: „სახე სოლომონ ბრძენისა იერუსალიმის ტაძრიდან გადაღებული“ და ქვეშ შემდეგი ლექსიცაა წარწერილი ვინმე გ. ს—ისა

„სიმართლით ახსნის სიზმარსა,
ყველას გეტყვის უჩინარსა,
დაწვრილებით გამოიცნობს
რაც რომ ეზმანოს მძინარსა!..“

წიგნის შინაარსს შეადგენს „ძველთა და ახალთა ბრძენთა“ გამოკვლევანი: 1) რა არის სიზმარი, 2) უკუღმართი დღეები, 3) ასოთ თამაშობა და 4) სიზმრის ახსნა სხვა და სხვა სისტემით. წიგნს ამშვენებს მხატვარ გრიგორიანცის წინასიტყვაობა, რომელიც უმტკიცებს მკითხველებს, „რათა დარწმუნდნენ სიზმრის მნიშვნელობასა და მის ავად თუ კარგად მომასწავლებლობასა“. შემდეგ ერთ-ერთ ავტორთაგანს მოჰყავს რამდენიმე სიზმრის ასრულების მაგალითი და დასძენს: „მე მგონია საკმარისია ეს მაგალითები, თორემ ყველა რომ დავასახელო მაშინ ეს წიგნი სულ იმას მოუნდებაო...“

მოლა ნასრედინის ანეგდოტები მახვილი და საინტერესოა, მაგრამ იმ სახით და იმ ენით, როგორც სკანდარნოვს გამოუცია, ყოვლად მახინჯი და უმზგავსია. ამ წიგნსაც ეპიგრაფი ამკობს:

„თუ წიგნი გსურს გასაცინი,
წაიკითხე ნასრედინი,
უცხო არაკებს იკითხავთ,
არ იქნება მოსაწყინი!..“

წიგნის თავში წინასიტყვაობის მაგიერია მოთავსებული, რომელიც თავისებურ „იბრეულ“ ლექსით მოგვითხრობს მოლლა ნასრედინის ცხოვრებას და ნიჭის ღირსებას.

თვითონ მოლას ანეგდოტები ავლაბრული ენითაა გადმოღებული: აი ნიმუში:

მოლასთან ერთი დედაკაცი **მოვიდა** და ჰკითხა:

— მე ჩემი ქმარი ბაირამისთვის **ქოშები დამპირდა,** რომ, ახალი ქოშები მიყიდოს; ნეტა როდის იქნება, ან მოვა ბაირამი ჩვენიო?!

— შენთვის ბაირამი მაშინ იქნება, **როცა შენმა ქმარმა ქოშებს გიყიდისო.** მიუგო მოლლამ“.

დავკმაყოფილდეთ ამ ერთის მაგალითით, თორემ ზემოხსნებულ ავტორისა არ იყოს, მოლა ნასრადინის მთარგმნელის ენის მარგალიტების ამოსაწერად მთელი გაზეთი მოგვინდებოდა, მოვიყვან მხოლოდ ბოლოსიტყვაობის ერთ ნაწყვეტს:

„მე ამის შედგენაზედ თვალწინ მქონია ბევრი ვარიანტები სხვა და სხვა ენებზედ, საიდანაც ვთარგმნე და ქართველ ხალხის საკუთვნელად ვაქციე“.

„ორთაჭალის თაიგული“ ხომ სწორედ რომ თაიგულია! შიგ მოთავსებულია—ჯერ თათრული ლექსი ქართულ ასოებით დაბეჭდილი, მერე ისეთი ცნობილი „პოეტების“ საკუთარი ლექსები, როგორიც არიან: ვასილ ედიგაროვი, დ. ლაზარევი, დ. გივიშვილი, ბეჩარა, ტერტერა ა. ს—ი და ბოლოში კი გადმობეჭდილია დამახინჯებულად და გარყვნილად ბესიკის, ა. ჭავჭავაძის, ი. ბაქრაძის ლექსები, ხოლო უკანასკნელ გვერდზე დაბეჭდილია **აკაკის** ცნობილი „სიზმარი“ ასეთი სახით:

**„ს ი ზ მ ა რ ი.**

ერთხელ მხოლოდ ცისა ძირში
ქართველ ქალთა ვნახე კრება,
ტახტზედ იჯდა თამარ მეფე ეშხიანი
მომხილავი
მარჯვნივ ეჯდა თინათინი მარცხნივ
ნესტარ დარეჯანი.
გარს ეხვივნენ სხვა ქალები.
როგორც მთვარე ვარსკვლავები.
ცალ-ცალკე და ყველა ერთად, გეფიცებით მის ნახვასა!
გამიკვირდა არ მენახა, ახლა ისევ
მენატრება სიცოცხლე და ნეტარება.
შამოვიდა რუსთაველი, ვეფხვის ტყავი ტყაოსანი
ხელში ეპყრა მოწიწება, დაიჩოქა
თაყვანი სცა.
მის წინ მუხლი მოიყარა გაიღიმა
ტახტზედ მჯდომმა,
თან ცრემლები გადმოყარა, იმასა კი
გულში ედვა როგორც ქალსა (დედოფალსა)
მაგრამ თავი შაინახა, როგორც ფერ-
და დედოფალსა“

მკითხველი ამ ლექსიდან თვითონ მიხვდება თუ რა ნიჭის და ავლა-დიდების პატრონები არიან ჩვენებური „სახალხო“ წიგნაკების გამომცემლები; მათ საკუთარ ლექსების ღირსებას ვინლა სჩივის: ის ვერ მოუხერხებიათ, რომ სხვისი ნამდვილი პოეტური ნაწარმოები ხეირიანად გადაბეჭდონ.

კმარა. გარჩეულებიც ხმა მაღლა ღაღადებენ, რომ დიდი და სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო წიგნების გამოცემას; საჭიროა შეგნებული და იდეიური ადამიანები ჩაუდგნენ ამ საქმეს, თორემ ქუჩურმა წიგნაკებმა ლამის მთელი ბაზარი დაიპყრონ და რიგიან წიგნს კი გასავალი მოუსპონ. ნუ დავივიწყებთ, რომ ალ. შახბარათოვის ფირმას დღემდე გამოუცია 92 სხვა და სხვა წიგნი. და ერდი და იგივე გამოცემა რამდენჯერმე განმეორებული.

**გრი—გრი.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**2 სექტემბერი.**

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**ბუდაპესტი.** ხოლერით 4 კაცი გახდა ავად.

**კობურგი.** გაზის აფეთქების გამო სახლი ჩამოინგრა. ნანგრევებს ქვეშ ექვსი ოჯახი მოჰყვა. ჯერ-ჯერობით ორის გვამი და ექვსი დასახიჩრებული ამოიღეს. მიწის თხრას განაგრძობენ. ფიქრობენ, რომ დაღუპული 10-მდე კაცი.

**ხუელვა.** გაფიცულთა რიცხვი რკინის გზაზე 7000-მდე ავიდა.

**სოფია.** „მირს“ გადაბეჭდილი აქვს „რეჩი“-დან სტატია „ცოტა სამართლიანობაც“ და დასძენს, კარგი იქნება რუსულ პრესაში ბოლო მოეღებოდეს ბულგარელების საწინააღმდეგო კომპანიასო. ეხლა რუსეთში გასავალი აქვს ყოველ ნაირ სერბიისა, რუმინიისა და საბერძნეთის ინსინუაციებს. „მირს“ სჯერა რუსის ხალხის ძმური სიყვარული ბულგარებისადმი, მაგრამ უკვირს ზოგიერთ გაზეთების ამხედრება ბულგარების წინააღმდეგ.

**კოპენჰაგენი.** გაიხსნა რეიხსტაგი. პრეზიდიუმში ძველები აირჩიეს.

**ბუქარესტი.** გარდა დობრუჯისა დემობილიზაცია ყველგან დასრულდა. ეპიდემიის გაჩენიდან ხოლერით ავად გახდა 1132, გარდაიცვალა 33, ხოლო მორჩა 39.

**კუანჩენცი.** იაპონელებს და ჩინელებს შეტაკება მოუვიდათ. იაპონელთა ჯარმა წესიერება აღადგინა.

**პორტლანდი.** რუსეთის ესკადრა ღამით მოვიდა. პატივისცემის ნიშნად ფორტებიდან ზარბაზნების სროლით შეხვდნენ. ადმირალმა ბრიგსმა სადილი გაუმართა რუსის აფიცრებს. სამაგიეროს „რიურიკზე“ ხუთშაბათს რუსის ესკადრა გაუმართავს ინგლისის ადმირალს. პარასკევს რუსის ესკადრა მიატოვებს ქალაქს.

**ბუდაპესტი.** გრაფმა ანდრაშიმ ახალი საორგანიზაციო კონსტიტუციონური პარტია დააარსა. პარტია მოითხოვს, ტისას მიერ ჩადენილ კანონის დარღვევას ბოლო მოეღოს. პარტიაში შევა 24 წევრი ქვედა პალატიდან და 26 ზემო პალატის წევრი.

**თეირანი.** ჟანდარმთა რაზმი ორი შვედელი ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით ქერმანის გზის დასაცავად გაემგზავრა.

**ტოკიო.** ჩინეთისკენ გაემგზავრა კრეისერი „ივატე“. ნოემბერში ნაგასაკში წყალში ჩაუშვებენ ჯავშნიან გემს „კირიშიმას“, იანვარში კობში— „ხარუნას“. ორივე კრეისერი „კონგოს“ ტიპისაა. შემოდგომაზე წყალში ჩაუშვებენ ჯავშნოსან „ფუსოს“. ტელეფონისთვის მთავრობამ გადასდო ხუთი წლის ვადით 45 მილიონი.

**პარიზი.** ჟურნალი „დე-დება“ უარჰყოფს ხმებს ოსმალეთთან კონვენციის თაობაზე, 700 მილიონის სესხის მიცემის და სამაგიეროდ რკინის გზის კონცესიების აღებაზე სომხეთში და სირიაში. გაზეთი ამბობს, სესხს ოსმალეთი მხოლოდ ბულგარიასთან და საბერძნეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ მიიღებსო.

**რ უ ს ე თ ი.**

**ხოლმი.** იდღესასწაულეს გუბერნიის გახსნა. აკურთხეს საგუბერნიო დაწესებულებანი.

**ტობოლსკი.** ბერეზოვკაში დაამთავრეს ტელეგრაფის გაყვანა, რომლითაც ჩრდილოეთი მხარე იმპერიას უკავშირდება.

**ლოზოვაია.** სევასტოპოლიდან პეტერბურგს მიმავალი ჩქარი მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. არავინ დაშავებულა, გარდა ფოსტის მოხელეებისა, ეს უკანასკნელნიც მსუბუქად დაშავდნენ.

**ეკატერინოდარი.** ნიაღვრებისა გამო ეკატერინოდარსა და ნოვოროსიისკს შუა მატარებლების გამოსვლა შესწყდა.

**კიევი.** პოდოლზე პოლიციას შეტაკება მოუვიდა შეიარაღებულ ბოროტ-გამზრახველებთან. სროლის დროს ერთი თავდამსხმელი მოკლეს, მეორე დაიჭრა, ხოლო მესამე გაიქცა. პოლიციელთაგან ერთი მძიმედ დაიჭრა, მეორე მსუბუქად.

**ადესა.** ხოლერის მოლოდინში სანიტარული კომისია სამზადისს შეუდგა.

**ნოვოროსიისკი.** სეტყვის გამო ქუჩები წყლით აივსო. სახლები ზოგიერთ ადგილას ჩამოინგრა. წყალმა წალეკა სოფელი ველიამინოვკა. ხალხი ნავებით შველიახ თავს. ადამიანთა მსხვერპლიც არის.

**ჰელსინგფორსი.** კუნძულ ბრანდეს ახლო, როდესაც მაშველი გემი დაღუპულ გემის ამოღებას ცდილობდა, დაიღუპა კაპიტანი, მცურავი და ორი მატროსი.

**კიევი.** სრულიად რუსეთის ქალაქის მოღვაწეთა კრება ქალაქის ფინანსების თაობაზე მოსალაპარაკებლად 10 სექტემბერს შესდგება.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროში შეტანილია ანგარიშები: იუსტიციის სამინისტროს მიერ სატუსაღოს ნაწილისა. შემოსავალი ტუსაღთა მუშაობისაგან ნაანგარიშევია 1250000 მ. სამინისტრო აცხადებს, რომ სათათბიროს სურვილის თანახმად, განზრახულია ციხეებში ქლექიანთა განყოფილების შემოღება; სინოდის ანგარიში: ხარჯი გადიდებულია 8,695,000 მ. სოფლისა და ქალაქის სამღვდელოებისთვის კრედიტი გადიდებული $2^1/_2$ მილ. მან. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში: ხარჯი გადიდებულია 8,950,000 მან. ამათგან 6,670,000 მ. საერობანი და საქალაქო ხარჯია; ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ანგარიში: ხარჯი გადიდებულია 2266,000 მანეთით.

1 აგვისტოდან 1913 წლისა მუშათა დაზღვევის კანონი გავრცელდა 33 პროცენტზე მთელი მუშათა რიცხვისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიტანა სათათბიროში კანონ-პროექტი 2,377,000 მ. გადადების თაობაზე ფოსტა-ტელეგრაფის საქმის გასაძლიერებლად—რომ აშენებულ იქმნეს 524 ფოსტისა, 378 ტელეგრაფისა და 68 ტელეფონის ახალი შენობა.

დაიჭირეს მე-18 ნომერი ჟურნალის: „სოვრემენნი მირი“-სა.

28 სექტემბერს პეტერბურგში გაიმართება სრულიად რუსეთი მეხილეთა ნაწარმოების საიუბილეო გამოფენა რომანოვების სამასი წლის მეფობის აღსანიშნავად.

სენატმა უყურადღებოდ დასტოვა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დირექტორის მოხსენება. დირექტორი უმართებულოდ სთვლიდა განათლების მინისტრის უმაღლესად დამტკიცებულ განკარგულებას, რომ პირველ კურსზე არ მიიღონ ის სტუდენტები, რომელნიც საკონკურსო გამოცდის დროს ორიანებს მიიღებენ.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ. ყველა მათ, ვინც შარშან საზოგადო კრებას დაესწრო, კარგად ეხსომებათ, რომ სხვებთან ერთად მეც ამირჩიეს გამგეობის წევრად. გამგეობამ პირველ თავის სხდომაზევე, ფუნქციებსრომ ანაწილებდნენ, მე ამირჩიეს ხაზინადრად, მეც რასაკვირველია, როგორც სხვები, (ადმინისტრატორი და მდივანი) თუმცა საზოგადო კრებას არ დაუმტკიცებივართ, მაინც შევუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას, ვმუშაობდი შეძლებისდაგვარად და პირნათლად. წლევანდელ საზოგადო კრებას, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ დავესწარი, რადგანაც აქ არ ვიყავი. კრებაზე დაურიგებიათ რაღაც ანგარიშები, რომელიც სარევიზიო კომისიასაც ქებადიდებით დაუდასტურებია. ანგარიშებზე სხვებთან ერთად ჩემი სახელი და გვარიც ყოფილა მოწერილი, რის შესახებაც საზოგადო კრებაზე ბ-ნი ალ. ლანდია შეჰკითხებია გამგეობას, თუ ფორაქაშვილმა, როგორ მოაწერა ხელი ანგარიშებს, როდესაც 23 ივლისიდან აქ არ არისო და თქვენ კი გამგეობის უკანასკნელი სხდომა აგვისტოს პირველ რიცხვებში გქონიათო.

ბ-ნ თომა ნასიძეს უპასუხნია, რომ ვითომც მე მათთვის სიტყვიერად მიმეცეს უფლება ჩემი სახელისა და გვარის მოწერისა, რაც სიმართლეს მოკლებულია და არცა მგონია მოიძებნებოდეს ისეთი ჭკუათა-მყოკელი ადამიანი, რომ საქმის გაუცნობლად ესენტუკიდან ქ. ტფილისში ანგარიშებს ხელს აწერდეს.

გარდა ამისა ძლიერ მიკვირს და მაოცებს სარევიზიო კომისიის აღფრთოვანებული მადლობა გამგეობის მოქმედებისათვის და ანგარიშების დასტური, როდესაც შეუძლებელია ანგარიშები სწორედ ყოფილიყოს შედგენილი, რადგანაც რამოდენიმე საყურადღებო ანგარიში შემთხვევით ჩაუბარებელი დამრჩენია.

ყოფილი ხაზინადარი **ზაქარია დ. ფორაქიშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


# სპერმინი

**სპერმინ-პელი** ერთად-ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ-მხრივ ნაცადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ქვეყნიერობის სახელგანთქმულ მეცნიერების მიერ და მიითი წამლობას ურჩევენ ნევრასტენიისა, სქესობრივი უძლურებისა, დაჩაჩანაკებისა, საერთო სისუსტისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლ-ნაკლებობისა, ქლექისა, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებისა, გულის ავადმყოფობისა (სიმსუქნე, გულის ფრიალი, სკლეროზი, გულის ჩქროლა, გულის ცემა და მიკორდიტი), არტერიო სკლეროზისა, ლოთობისა, ხერხემლის ძვლის გახმობისა, დამბლობისა, დაღლილობისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. ყურადღება უნდა მიაქციოთ სათაურს:

## სპერმინ-პელია,

და მოერიდეთ უფასო უვარგის მიბაძვას, ეგრედ-წოდებულს სათესლე ძარღვების წვენს, რომელნიც სპერმინ-პელიასთან არც შემადგენლობით და არც მოქმედებით არავითარი საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებას შეიცავენ. **სპერმი-პელია** ყველგან იშოვება.

**პროფესორი ექიმი პელი და შვილები, ს.-პეტერბურგი.**

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.

Метцль. 111309. 1443

## ავადმყოფებს!

# საჭიროა

პატარა ოჯახში შუახნის ქართველი დედაკაცი. ნახვა შეიძლება: დილით, „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში 9—3 საათამდე და საღამოთი თუმანოვის პირველი ქ., № 19, 4—7 საათამდე **ნ. ნეიმანთან.** 1459

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**კბილის ექიმი ა. ზ. ხოლოდაშვილი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

**ექიმი შ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 შ. **ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461). 3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517). 5—6**ა. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645). 7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709) 9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487). 10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობით განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები
1—2 **გ. ა. ზედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შაგერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თბოეთსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).
10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935).

გამოსულია და იყიდება
**ი. გედევანიშვილის** პიესა
## „მ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

# ქემო ნაკაშარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს) ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

## „606“ და „914“

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნაკაშარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ავახსროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**ქ დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნაკაშარდიანი.** 1004

# ფეხსაცმელები თომა დ ჯანყარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში,** მუხრანის ქ. № 2.



ყოველნაირი: საკუთარი ბ პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 527

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის**

# „პატოკსან“.

**„პატოკსან“** შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.

**„პატოკსან“** საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.

**„პატოკსან“** ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.

**„პატოკსან“** ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.

**„პატოკსან“** ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.

**„პატოკსან“** თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. ტელეგრ. მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

**საბუღალტრო კურსები**

# გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

## ძმ.



## ძმველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი. ახალი მსხვილ-მარცვლოვანი **ხიზილალა** (ქიტკა).

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დღში, იანი, შიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**


მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.